საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/65

05 აპრილი, 2023 წ. ქ. ბათუმი

,,2022-2023 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის N01-02/255 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის უფროსის 2023 წლის 4 აპრილის MES 0 23 0000381521 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, 2022-23 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის/მობილობის შედეგების შესახებ ფაკულტეტების ინფორმაციისა და სტუდენტთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება ,,2022-2023 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის N01-02/255 ბრძანებაში, რათა** 2022-2023 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების (967,500 ლარის ფარგლებში) მიმღები, ბსუ-ს ბაკალავრიატის და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა კონტიგენტი (სულ 430 ადგილი), გადანაწილდეს ახალი რედაქციით (შეიცვალოს ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში: ,,აგრარული ტექნოლოგიების" პროგრამაზე ნაცვლად 50 ადგილისა, განისაზღვროს 49 ადგილით; ,,ისტორიის" პროგრამაზე ნაცვლად 55 ადგილისა, განისაზღვროს 53 ადგილი; ,,ბიოლოგიის პროგრამაზე ნაცვლად 25 ადგილისა, განისაზღვროს 27 ადგილი; ,,ქიმიის" პროგრამაზე ნაცვლად 5 ადგილისა, განისაზღვროს 7 ადგილი; ,,ფიზიკის" პროგრამაზე ნაცვლად 5 ადგილისა, განისაზღვროს 8 ადგილი; ,,მათემატიკის" პროგრამაზე ნაცვლად 30 ადგილისა, განისაზღვროს 26 ადგილი.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,2021-2022 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 ივნისის N283 დადგენილების, ,,2022 - 2023 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 12 აგვისტოს №92/ნ ბრძანების, ,,2022-2023 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა

კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21 ოქტომბრის N06-01/109 დადგენილების, დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის უფროსის ი. ქერქაძის 2023 წლის 4 აპრილის MES 0 23 0000381521 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ,,2022-2023 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის N01-02/255 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. 2022-2023 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების (967,500 ლარის ფარგლებში) მიმღები, ბსუ-ს ბაკალავრიატის და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა კონტიგენტი, სულ 430 ადგილი, გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-85;

ბ) ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-50;

გ) მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-45;

დ) აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-49;

ე) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-80;

ვ) ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-53;

ზ) ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-27;

თ) ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-7;

ი) ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-8;

კ) მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-26.

2. წინამდებარე ბრძანება გაიგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ამავე დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30) გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**